 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/320

ქ. თბილისი "22" 12 "----------" 2011 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები და შესყიდვის ობიექტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნათა (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტი) შესაბამისად

ერთის მხრივ, შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია" (მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2), წარმოდგენილი - მისი შესყიდვების სამსახურის უფროსის ლევან პაპაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი")
და მეორეს მხრივ,
შპს "ქართული პროგრამული სისტემები" (იურიდიული მის: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვ.1ᵇ კორპ. ბინა 86) წარმოდგენილი - მისი მომხმარებლებთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორის, ცირა პაქსაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **"SuperFin 6"-ის ქსელური, 18 (თვრამეტი) მომხმარებლიანი ვერსიის** სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე 2160 (ორი ათას ას სამოცი) ევროს ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით, შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება").

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.2. "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც გააფორმა შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

2.3. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული, ყველა დოკუმენტით, კერძოდ:

2.3.1. მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1).

2.3.2. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი (დანართი №2).

2.3.3. ანგარიშსწორების პირობები და ვადები (დანართი №3).

2.3.4. ტექნიკური პირობა (დანართი №4).

2.3.5. საგარანტიო პირობები და ვადები (დანართი №5).

2.3.6. ლიცენზიური შეთანხმება (დანართი №6).

2.4. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.5. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **"SuperFin 6"-ის ქსელური, 18 (თვრამეტი) მომხმარებლიანი ვერსია** (შემდგომში "მომსახურება"), სოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაისადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 72267000

3.3. გასაწევი მომსახურების დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება მომსახურების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად (დანართი №1).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.
შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს: მთავარი ბუღალტერი კარინა მარტიროსიანი (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").

4.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

4.2.1. გაუწიოს კონტროლი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ვადების დაცვას;

4.2.2. დაადგინოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

4.2.3. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან პაპაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცირა პაქსაშვილი
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

5. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

მიმწოდებელი ვალდებულია, მომსახურების გაწევა განახორციელოს მომსახურების გაწევის ვადებისა და ადგილის შესაბამისად (დანართი №2).

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება მომსახურების (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

6.4. მომსახურების მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების გაწევის ადგილზე.

6.5. მომსახურების (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე;

7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესაბამისად (დანართი №3).

7.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 10.3 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

7.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8. საგარანტიო პირობები და ვადები

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება მომსახურების გაწევის ტექნიკურ პირობებს (დანართი №4).

8.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას გაწეულ მომსახურებაზე, საგარანტიო პირობისა და ვადების შესაბამისად (დანართი №5).

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში (თუ დანართი №5-ით კონკრეტული ვადა არ არის გათვალისწინებული) განახორციელოს წარმოქმნილი დეფექტის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.4. მიმწოდებლის მიერ საგარანტიო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

- **9.1.1.** მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
- **9.1.2.** ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
- **9.1.3.** 9.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, საწარმოო აუცილებლობიდან გამომდინარე, ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

- **9.2.1.** მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- **9.2.2.** მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- **9.2.3.** მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.
- **9.2.4.** მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- **9.2.5.** შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

10.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: მომსახურების გაწევის ვადებით გათვალისწინებული, ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

10.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

10.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით.

10.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.4.3. ხელშეკრულების 10.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

13.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

13.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლიარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია "
ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2
ტელ: (995 32) 2 93 50 50.
სს საქართველოს ბანკი
ა/ა GE32BG0000000127527201; ბანკის კოდი: BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 202886788

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"
ქ. თბილისი, დიღმის მასივი, 1 კვ.1ᵇ კორპ. ბინა 86
ტელ: 31 33 31
სს თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი
ა/ა GE41TB0600000027467795; ბანკის კოდი: TBSBGE22
საიდენტიფიკაციო კოდი: 202198754

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/320

ქ. თბილისი

„22" ----12---- 2011 წელი

დანართი №1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	მომსახურების დასახელება	განზ/რაოდ	ერთეულის ღირებულება თვეში (ევრო)	მთლიანი ღირებულება (ევრო)
1	SuperFin 6"-ის ქსელური, 18 (თვრამეტი) მომხმარებლიანი ვერსია	12 თვე	180	2160
	სულ			2160

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან პაპაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცირა პაქსაშვილი
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №0300/10/320

ქ. თბილისი

"22"----12----" 2011 წელი

დანართი №2

მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

მომსახურების მიწოდების ვადა: ყოველთვიური მომსახურება 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი № 2.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან ...
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცირა ...
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

დანართი №3

ანგარიშსწორების პირობები და ვადები

- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით.
- ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 6 (ექვსი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

ქ. თბილისი "22"----12----" 2011 წელი

დანართი №4

ტექნიკური პირობა

სისტემატურად განაახლოს პროგრამა **"SuperFin 6"** მიმწოდებლის ინტერნეტ სერვერიდან;

ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი სამუშაო დღის მანძილზე დაარეგისტრიროს შემსყიდველი თავის სერვერზე, ამავე სერვერზე (Online რეჟიმში) არსებული ყველა საჭირო დოკუმენტით სარგებლობისათვის;

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა პროგრამებთან **"SuperFin"** მუშაობისას, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას არსებული უმოკლეს ვადაში.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან პაპაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცირა პაქსაშვილი
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

ქ. თბილისი "22"----12----" 2011 წელი

დანართი №5

საგარანტიო პირობები და ვადები

გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა შეადგენს 12 თვეს.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანია"

ლევან პაპაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცოტა პაქსაშვილი
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

დანართი №6

ლიცენზიური შეთანხმება

1. ლიცენზიური უფლებები. მოცემული ლიცენზიური შეთანხმება აძლევს შემსყიდველს უფლებას გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი და მისი ერთი სარეგისტრაციო ნომერი ერთ კომპიუტერზე ან ქსელური ვერსიის შემთხვევაში, შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

2. საავტორო უფლებები. პროგრამული პროდუქტი არ წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას, პროგრამული პროდუქტის სურათების, ტექსტების, ანიმაციების და აპლიკაციების ჩათვლით. შემსყიდველს არა აქვს მისი მოდიფიკაციის, ადაპტაციის, სტრუქტურის შეცვლის, სხვა ენაზე გადათარგმნის, დეკომპილაციის, გაქირავების და აგრეთვე ამ პროგრამული პროდუქტის საფუძველზე ნაწარმოები პროდუქტების შექმნის უფლება.

3. უფლებების გაცემა. მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით შემსყიდველისთვის მინიჭებული უფლებები მას შეუძლია გადასცეს მესამე მხარეს მუდმივ მოხმარებაში იმ შემთხვევაში თუ მესამე მხარე თანახმაა მოცემული ლიცენზიური შეთანხმების ყველა პირობაზე. ამ დროს შემსყიდველმა უნდა გადასცეს მესამე მხარეს პროგრამული პროდუქტი, მისი სარეგისტრაციო ნომერები და დაბეჭდილი მასალები. შემსყიდველს არა აქვს უფლება გადასცეთ პროგრამული პროდუქტი მესამე მხარეს დროებით მოხმარებაში. ამავე დროს მან არ უნდა დაიტოვოს და გამოიყენოს ამ პროდუქტის არცერთი ასლი მისი სარეგისტრაციო ნომრებით. გადაცემის შემდეგ შემსყიდველი იმავდროულად კარგავს პროდუქტზე ყველა უფლებას.

4. მოქმედების ვადა. ლიცენზიური შეთანხმება მოქმედებს მანამდე, სანამ იგი არ იქნება გაუქმებული. მიმწოდებელს აქვს უფლება დაუყონებლივ გააუქმოს ლიცენზიური შეთანხმება შემსყიდველის მიერ მისი რომელიმე პუნქტის დარღვევის შემთხვევაში. ამ დროს შემსყიდველს ჩამოერთმევა მოცემული ლიცენზიური შეთანხმებით მინიჭებული უფლება გამოიყენოს პროგრამული პროდუქტი.

5. შეზღუდული გარანტია. პროგრამული პროდუქტის მუშაობაში რაიმე დეფექტის შემჩნევისას შემსყიდველს შეუძლია აცნობოს მიმწოდებელს ან მის რომელიმე პარტნიორს. ისინი შეეცდებიან აღნიშნულის აღმოფხვრას უმოკლეს ვადაში. მიმწოდებელი არ იღებს პასუხისმგებლობას პროგრამული პროდუქტის გამოყენებით საბოლოო მომხმარებლის მიერ საქმიანობის იურიდიულად და ფინანსურად სწორ წარმართვაზე. აგრეთვე მიმწოდებელი არ აგებს პასუხს რაიმე პირდაპირი, ირიბი, უცაბედი ან სხვა დაზიანებისათვის, როგორიცაა მონაცემების დაკარგვა და სხვა. შემსყიდველის მონაცემების მთლიანობაზე პასუხს აგებს თვითონ შემსყიდველი. ამასთან აღსანიშნავია, რომ პროგრამის მუშაობა იყო ტესტირებული და შესაბამისად მიღებული იქნა მაქსიმალური ზომები მისი სტაბილური და უსაფრთხო მუშაობისათვის.

"შემსყიდველი"
შპს "თბილისის საატრანსპორტო კომპანია "

ლევან პაპაშვილი
შესყიდვების სამსახურის უფროსი

"მიმწოდებელი"
შპს "ქართული პროგრამული სისტემები"

ცირა პაქსაშვილი
მომხმარებლებთან ურთიერთობის
განყოფილების დირექტორი

Georgian Software Systems Ltd.

თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას #8., tel.: (+995 32) 31 33 31/31 34 31 faqsi: (+995 32) 31 35 31
Ana Politkovskaia #8, Tbilisi, Georgia. Tel.:(+995 32) 31 33 31/31 34 31; Fax: (+995 32) 31 35 31

შ.პ.ს. "თბილისის სატრანსპორტო კომპანი"-ის
გენერალურ დირექტორს ბ-ნ ლევან კოპლატაძეს
შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემებ"-ის

წ ე რ ი ლ ი

გაცნობებთ, რომ შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები" არის მის მიერ წარმოებული პროგრამების Superfin და GSS Code ერთპიროვნული რეალიზატორი. აქვე ავღნიშნავთ, რომ ზემოთ ხსენებული პროგრამების რეალიზაციისა და მათზე მომსახურების გაწევის უფლება არ აქვს სხვა კომპანიას, გარდა შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"-სა.

პატივისცემით,
შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"-ს
ადმინისტრაციული დირექტორი ზურიგოლ გრძელიშვილი

09 12 11
13123